ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №784034

ნომერი: AR1145248

თარიღი : 09.07.2013

გაცემის თარიღი : 25.07.2013

გაცნობის თარიღი : 25.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , ბაზრობა "ისანი"-ს სამხრეთ შესასვლელის მიმდებარედ, (ნაკვ. 1/17) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზ. ბაზრობა „ისანი“-ს სამხრეთ შესასვლელის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.17.12.001.017) არსებული ბენზინგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის და კომერციული ნაგებობის (მაღაზია) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და მცირე ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (იხ. დანართი);

”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: ა) განათების; ბ) სარწყავი სისტემის; გ) სარეკლამო ბილბორდის; დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის; ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

გამომდინარე აქედან, კომერციული ნაგებობის (მაღაზია) განთავსება ვერ მოხდება, ვინაიდან აღნიშნულ ზონაში მშენებლობა კანონმდებლობით დაშვებული არ არის.

რაც შეეხება არსებული ბენზინგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას, თუ არ იზრდება შეუსაბამობის ხარისხი „რებრენდინგ“-ზე შეგიძლიათ პირდაპირ მიმართოთ სანებართვო განყოფილებას, რისთვისაც www.tas.ge-ზე ელექტრონულ განცხადებებში უნდა აირჩიოთ შესაბამისი ნომენკლატურა და დააყენოთ შესაბამისი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.